ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავჯდომარეს ბატონ დავით შარაშიძეს

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზეზია ,,საჯარო სამსახურის შესახებ,, საქართველოს კანონის 78-ე მუხლში შესული ცვლილება , სადაც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს დაემატა საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე საკრებულოს აპარატის დებულება საჭიროებს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური შინაარსის ცვლილებებს.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: დადგენილების პროექტის მიღების მიზანია აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი ხარჯებით დაფინანსებასთან.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ)დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულებები: დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

გ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარიტა მგალობლიშვილი.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი: პროექტის ავტორია საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში თამარ ახალაძე.

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

სხდომაზე მომხსენებელია საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში თამარ ახალაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა

და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: მარიტა მგალობლიშვილი